რუსეთის ეკლესიის წინამძღვრის მისალმება G20-ის რელიგიათაშორისი ფორუმის მონაწილეებისადმი

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილემ მისასალმებელი წერილი გაგზავნა G20-ის რელიგიათშორისი ფორუმის მონაწილეების მისამართით, რომელიც ეძღვნება თემას „განკურნების დრო: მშვიდობა კულტურებს შორის, ურთიერთგაგება რელიგიებს შორის“. ფორუმის გახსნაზე, რომელიც იტალიის ქალაქ ბოლონიაში ტარდება, უწმინდესი პატრიარქის კირილეს მისალმება ვლადიკავკაზისა და ალანიის მთავარეპისკოპოსმა ლეონიდემ გააჟღერა.

G20-ის რელიგიათშორისი ფორუმის – „განკურნების დრო:

მშვიდობა კულტურებს შორის, ურთიერთგაგება რელიგიებს შორის“, მონაწილეებს.

ძვირფასო ძმებო და დებო!

გულითადად მოგესალმებით ბოლონიაში G20-ის რელიგიათშორისს ფორუმზე –„განკურნების დრო: მშვიდობა კულტურებს შორის, ურთიერთგაგება რელიგიებს შორის“, ყველა შეკრებილს.

ეს მნიშვნელოვანი მოვლენა შესაძლებლობას აძლევს თანამედროვეებს გააცნობიერონ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემები, გააღრმავონ რელიგიათაშორისი და კულტურათშორისი დიალოგი, რომელიც მიმართულია ადამიანებს შორის მშვიდობის დამყარებასა და თანხმობისათვის.

სამწუხაროდ, დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში მორწმუნეები სულ უფრო მეტად განიცდიან დისკრიმინაციას. ზოგჯერ ადამიანების რელიგიური გრძნობებით სპეკულირებენ ძალადობის, სიძულვილისა და მტრობის გასამართლებლად და ამის შედეგად ევნებიან მშვიდობიანი მოქალაქეები.

მოვუწოდებ ფორუმის მონაწილეებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აფრიკაში ქრისტიანების მდგომარეობას, პირველ რიგში ნიგერიაში, სადაც ექსტრემისტული დაჯგუფებების მხრიდან ქრისტიანული მოსახლეობის გენოციდი მიმდინარეობს.

ვფიქრობ, რომ G20-ის სამიტის წინ ბოლონიაში შეკრებილი რელიგიური ლიდერები, დიპლომატები, მეცნიერები და კულტურის მოღვაწენი შეძლებენ კრიზისული სიტუაციების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას, მათ შორის სისხლიან კონფლიქტებში. ვიმედოვნებ, რომ ფორუმის შემაჯამებელი განცხადება სათანადოდ იქნება მიღებული მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მეთაურების მიერ, აღძრავს მათ გადადგან რეალური ნაბიჯები სუსტების დასაცავად, საერთაშორისო სამართლის დასაცავად, გაჭირვებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

გისურვებთ წარმატებებს თქვენს მომავალ შრომაში და ნაყოფიერ დისკუსიებს.

+ კირილე,

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88010/